- ✓ დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში;
- ✓ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ✓ ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- ✓ მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- ✓ შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

აღნიშნული მიზნები ჰოლისტურია და უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" 2 დან-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" დაფუძნებულია იმ პრინციპზე რომ , ბავშვის სწავლა და განვითარება ყველაზე ეფექტურად მიმდინარეობს ბუნებრივ, თამაშზე დაფუძნებული გამოცდილებების გზით, შინაარსობრივი და მეთოდური მიდგომები ემყარება ბავშვის ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და ინდივიდუალურ ტემპზე მორგებულ საგანმანათლებლო პროცესს, სადაც უფროსი აკვირდება ბავშვებს და გეგმავს ბავშვების ინტერესებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესს ,რომელიც ორგანიზებულია თამაშით და აქტივობებით რომელიც მოიცავს თამაშის ელემენტებს.

**სოციალურ-ემოციური განვითარება**-თამაშზე დაფუძნებული აქტივობები ავითარებს ემპათიას, თანამშრომლობისა და გუნდურობის უნარს, ემოციურ და სოციალურ კომპეტენციას, თვითრეგულაციას, საკუთარი თავის რწმენას, თავდაჯერებულობას.

**კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება** : სხვადასხვა ტიპის თამაშისას ბავშვები ივითარებენ მეტყველებას, არგუმენტირებულ საუბარს, დიალოგურ მეტყველებას, სწავლობენ მოსმენას,მოსმენილის მნიშვნელობას, წერა-კითხვის საბაზისო უნარებს.

**შემეცნებითი განვითარება:** წარმოსახვითი თამაშები ავითარებს აზროვნებას, ფანტაზიას, თვითგამოხატვის უნარს, ცნობისმოყვარეობას და ყურადღებას, პრობლემის გადაჭრას, აზროვნებასა და კვლევას.

**ფიზიკური და სენსორული განვითარება:** ფიზიკური და მანიპულატიური თამაშები ხელს უწყობს მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას ,კოორდინაციისა და სენსორულ განვითარებას.

**დამოუკიდებლობა და ადაპტური განვითარება:** თამაშში ბავშვი სწავლობს და ავლენს დამოუკიდებლობას ,ინიციატივას, ივითარებს თვითმომსახურეობის უნარს და ადაპტურ ქცევას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში- თემში გასვლითი აქტივობები, თემიდან სხვადსხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა, საგანმანათლებლო საქმიანობაში ოჯახის მონაწილეობა, მშობლების უწყვეტი ჩართულობა ბავშვების სწავლასა და განვითარების პროცესში და მშობელთა განათლება.

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის თავი 9. ოჯახებთან თანამშრომლობა.
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ -ნაწილი V. დაგეგმვა და შეფასება, პროცესის შემადგენელი ელემენტები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 -დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შინაარსსა და მეთოდებში. კურიკულუმის შინაარსი მოიცავს შემდეგ თემატურ მიმართულებებს: ხელოვნება, წიგნიერება და მეცნიერება, კურიკულუმის მეთოდებია: თემა და პროექტი, რომელიც მრავალფეროვანი განვითარების საშუალებას ქმნის, ადრეული განათლების კურიკულუმში „თამაში“ 2 დან-5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის- მოცემულია სარეკომენდაციო თამაშები, რომლის მოდიფიცირება უნდა მოხდეს ასაკობრივ ჯგუფებზე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტზე დაყრდნობით . სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ კი განკუთვნილია მხოლოდ სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის და უზრუნველყოფს სკოლისთვის მომზადებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

...................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება , კურიკულუმის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან განსაზღვრავს **„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი „ -თ ბრძანება N2/28 . 23 აპრილი,2025 წელი.** რომლის თანახმად კურიკულუმის გაზიარება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება

1. გაერთიანება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა)მშობლები;

ბ)დაწესებულების პერსონალი;

გ)თემი/მუნიციპალიტეტი;

დ)საკონსულტაციო საბჭო;

3. გაერთიანება კურიკულუმების გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. ესენია:

ა) პირისპირ შეხვედრები;

ბ) მატერიალური კორესპონდენცია;

დ) საინფორმაციო დაფები;

ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

ვ) სატელეფონო ზარები: 0433221160

ზ) ელექტრონული ფოსტა: xaragaulisbagebisgaertianeba@gmail.com

თ),,ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/me/ ,,ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“
ი) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები ფეისბუქის მესენჯერ-ჯგუფები

დაწესებულებაში ვიზიტისას, საბავშვო ბაღის დირექტორმა წარმოადგინა პირისპირ შეხვედრის ოქმი-თარიღი 09.09.2025 და ფოტო საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან კურიკულუმის გაზიარების შესახებ, საბავშვო ბაღის პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ ესწრებოდნენ შეხვედრას რომელიც ჩაატარა საბავშვო ბაღის დირექტორმა ,სადაც განხილული იყო დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის თემთან გაზიარების გეგმის ან პროცესის ამსახველი მტკიცებულება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
....................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................
რჩევა
....................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა დანართი N 1 -რომელშიც დაგეგმილია თემთან/მუნიციპალიტეტთან კურიკულუმის გაზიარების აქტივობა და თემთან/მუნიციპალიტეტთან კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მტკიცებულება ოქმი N2 თარიღი: 28.01 2026 . აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტის პოზიცია იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 23 აპრილს-ბრძანების ნომრით N2/28 დამტკიცებული **„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი „**
2. დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 17აპრილს- ბრძანება №2/22 -ით დამტკიცებული **„საკომუნიკაციო გეგმა“**
3. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 -დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის-ნაწილიI ,ნაწილი II.
4. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-აღმზრდელის სახელმძღვანელო, აქტივობების კრებულის ნაწილი I და ნაწილი II.
5. დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 23 აპრილს- ბრძანება N 2/ -ით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი .
6. 2025 წლის 24 და 30 აპრილს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შეხვედრის ოქმები N 1 და N2 .
7. დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 1 მაისს- ბრძანება N 2/30 -ით დამტკიცებული - კურიკულუმი.
8. დაწესებულების პერსონალთან კურიკულუმის გაზიარების ოქმი-09.09.2025 წელი, ფოტო.
9. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1 კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ გრძელვადიანი-ერთ თვიანი და მოკლევადიანი-ერთკვირიანი პერიოდულობით ,ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ -მოკლევადიანი-ერთკვირიანი პერიოდულობით. დაწესებულება ,კურიკულუმის შესაბამის საგანმანათლებლო პროცესის პერიოდულობას და ხანგრძლივობას არეგულირებს **„საგანმანათლებლო**

**პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე გაერთიანება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს.
2. გაერთიანებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.
3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი და საბავშვო ბაღის გამგეები.
3. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ამავე წესის დანართად .

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი -წლიური და მოკლევადიანი -ყოველკვირეული გეგმის ფორმები. **ბრძანება N 2/33 თარიღი 05 მაისი,2025 წელი** .დანართი N1,დანართი N2.

დაწესებულებას , ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, დამტკიცებული აქვს ერთი მოკლევადიანი-ყოველკვირეული გეგმის ფორმა, აღნიშნული გეგმის ფორმა განსხვავდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“-ის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“-ის სარეკომენდაციო გეგმის ფორმისგან, მაგრამ, მოიცავს მოკლევადიანი გეგმის ყველა კომპონენტს:

- ✓ ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები-რეფლექსიის სივრცე;
- ✓ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები-რეფლექსიის , ინიდივიდუალიზაციის სივრცე;
- ✓ თამაშზე ორიენტირებული პროცესი-უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები: პროვოკაციები/გამოწვევები;
- ✓ სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში-უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობები.
- ✓ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები-რეფლექსიის სივრცე;

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი ინტერვიუში აღნიშნავს რომ, აღნიშნული გეგმის ფორმას გაეცვნენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე და დაწესებულებამ მიღო გადაწყვეტილება გეგმის ფორმის ცვლილებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საბავშვო ბაღში ვიზიტის დროს დასტურდება რომ დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმები ცნობილია საგანმანათლებლო პერსონალისთვის, რომელსაც გამოიყენებენ შესაბამისი პერიოდულობითა და ხანგრძლივობით.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პუნქტი 3 - ის შესაბამისად დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი გრძელვადიანი გეგმა, ასევე დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ის შესაბამისი გრძელვადიანი -ერთ თვიანი გეგმის ფორმა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია - ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:
დაწესებულებამ უზრუნველყოს:
1.გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, გრძელვადიანი გეგმის შემუშავება-მუხლი 3,პუნქტი 3 გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი და საბავშვო ბაღის გამგეები-ის შესაბამისად.
2. შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ -ის შესაბამისად გრძელვადიანი-ერთთვიანი გეგმის ფორმა.

რჩევა -
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს :
- ✓ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ გრძელვადიან გეგმაში შეიტანოს შემდეგი საკითხები: სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები, განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები, დღის განრიგი: ეზოს/გარე სივრცესა და დაწესებულების შიგნით მიმდინარე აქტივობების ,უფროსისა და ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობების თანაფარდობა, ,ფიზიკური გარემოს მოწყობა, საგანმანათლებლო პროცესში ოჯახის და თემის ჩართულობა , საგანმანათლებლო პროცესში დამხმარე სპეციალისტების ჩართულობა, განრიგები, აღსაზრდელთა ადაპტაციის ხელშეწყობა და სხვა.
- ✓ გრძელვადიანი კალენდარული გეგმის ფორმები დაამტკიცოს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის რედაქტირებული კურიკულუმის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს :

1.გრძელვადიანი გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნას; 2. გრძელვადიანი გეგმის დამტკიცებას; 3. სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში" -ის შესაბამისი გრძელვადიანი - ერთთვიანი გეგმის ფორმის დამტკიცებას; 4. დამტკიცებული გეგმების დაინტერესებულ მხარეებისთვის გაცნობას.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის პოზიცია იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია .**

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება , კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავების პროცესში საგანმანთლებლო პერსონალის თანამონაწილეობას განსაზღვრავს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი"-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

1. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი.

ადგილზე ვიზიტისას საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ, მოკლევადიანი გეგმების შემუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი: თანხმდებოდნენ კვირის მისაღწევ მიზნებსა და თემაზე, გეგმავდნენ განსახორციელებელ დიდ და მცირე ჯგუფურ აქტივობებს , ანაწილებდნენ დროს ,სივრცეს და ფუნქციას ვინ რას, სად და როდის გააკეთებს. რადგან დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს არ აქვს განსაზღვრული არასაკონტაქტო საათები, პერსონალი ფიქრობს რომ ,შეხვედრისთვის გამოყოფენ არასამუშაო ან ბავშვების ძილის საათს. ნადაბურის საბავშვო ბაღში საგანმათლებლო პროცეს ახორციელებს მხოლოდ აღმზრდელები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია -

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა - სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

✓ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პერსონალისთვის გამოყოს არასაკონტაქტო საათები .

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა - დაწესებულება, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტაციაში ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების ასახვას განსაზღვრავს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი"-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა

2. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ამავე წესის დანართად და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;

**მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება**

1. გაერთიანების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ა) ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოს;

გ) აღმზრდელის პორტფოლიოს;

დ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს.

2. აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები.

4. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის (ფსიქოლოგი, სპეც. პედაგოგი, ლოგოპედი, მუსიკის მასწავლებელი, მეთოდისტი) პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
ა) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
ბ) რეფლექსური ჩანაწერები
დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოკლევადიანი გეგმები და დღის განრიგი მოიცავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმისა და დღის განრიგის კომპონენტებში.
მოკლევადიან გეგმები: ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები- რეფლექსიის სივრცე.
დღის განრიგები: შემუშავებულია გაერთიანების მიერ და მოიცავს სხვადსხვა ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებებს.
საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ ჯგუფზე დაკვირვება და რეფლექსური ჩანაწერები, რომელიც საგანმანათლებლო პერსონალის პორთფოლიოს ნაწილია, დაეხმარებათ დაადგინონ და განსაზღვრონ ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა - სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს :
გაერთიანებამ იხელმძღვანელოს განსახორციელებელი კურიკულუმის საორიენტაციო დღის განრიგით და საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალმა მოირგოს ბაღის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, სადაც ბავშვების მიერ ინიცირებული აქტივობებისთვის (მცირე ჯგუფური აქტივობები, თამაში) გამოყოფს მეტ დროს , ვიდრე აღმზრდელის მიერ ინიცირებული აქტივობებისთვის (დიდი ჯგუფური აქტივობები) გაითვალისწინოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებები, ჯგუფებისთვის ეზოს და დარბაზით სარგებლობის დრო და სხვა და ასახოს ჯგუფის დღის განრიგში .რადგან დღის განრიგი ისე უნდა იყოს აწყობილი რომ იძლეოდეს ცვლილებების საშუალებას, იყოს პროგნოზირებადი და საქმიანობების თანმიმდევრობა მრავალფეროვან გამოცდილებებს სთავაზობდეს ბავშვებს, შესაბამისად უმჯობესია რომ ყველა ჯგუფს საკუთარი განრიგი ქონდეს, რომელსაც თავად ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი შეიმუშავებს, რადგან სწორედ მან იცის ყველაზე კარგად, როგორია ბავშვების საჭიროებები, დღის რომელი მონაკვეთი როგორ ჯობია დაიგეგმოს და ა.შ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება , საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტაციაში, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვას განსაზღვრავს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი"-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 4. ინდივიდუალიზაციის ასპექტი

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება:

ა) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით;

ბ) გაერთიანების მიერ, ასევე გაერთიანების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით;

2. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

3. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

**მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება**

3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

გ) ბავშვის ნამუშევრები., ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოკლევადიანი გეგმები მოიცავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს ,რაც ვლინდება ყოველკვირეული გეგმის ფორმის ინდივიდუალიზაციის კომპონენტში.
საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ, ინდივიდუალიზაციის კომპონენტი გამოიყენება ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს (დაკვირვება, შეფასება) საფუძველზე განსაზღვრული საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სტრატეგიების დასაგეგმად. ასევე აღნიშნავენ რომ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ გამოიყენებენ ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც არ არის დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის მიერ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................
რჩევა - სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:
- ✓ დაამტკიცოს ინდივიდუალური გეგმის ფორმა, ინდივიდუალური გეგმის პერიოდულობა და ხანგრძლივობა.

იხელმძღვანელოს დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის ინდივიდუალური გეგმის სარეკომენდაციო ფორმით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -
დაწესებულება ,საგანმანათლებლო პროცესის და მათ შორის ტრანზიციის წარმართვას თამაშით და თამაშის ელემენტებით განსაზღვრავს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი"-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა
პუნქტი 2. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით ამავე წესის დანართად და მოიცავს შემდეგ ასპექტებს :

გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოკლევადიანი გეგმა მოიცავს თამაში/თამაშის ელემენტებზე ორიენტირებულ პროცეს, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმის კომპონენტებში -აღმზრდელის პროვოკაციები/გამოწვევები, რუტინა/ტრანზიციები, დიდი ჯგუფური შეხვედრები. საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ, პროვოკაციები და გამოწვევები ბავშვების ინტერესების გამოსაწვევად უნდა გამოიყენონ, ხოლო დიდი ჯგუფური შეხვედრები, ტრანზიციები და რუტინები უნდა მოიცავდეს თამაშის ელემენტებს და ეს შეიძლება იყოს კვირის მიზნის შესაბამისი თამაშები, სიმღერა, ლექსი, წარმოსახვითი თამაშები და სხვა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება, დღის განმავლობაში, ბავშვის სხვადსხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალებას, როგორც ინდივიდულაურად ისე ჯგუფურად, როგორც შენობაში ისე მის გარეთ განსაზღვრავს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

**მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა**

დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;

ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული დღის განრიგი მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ პროცეს სხვადასხვა (შიდა/გარე) გარემოში , როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად რაც ვლინდება დღის განრიგის კომპონენტებში: თამაში, ეზოში თამაში. საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს რომ მცირე ჯგუფური აქტივობები ბავშვებს აძლევს არჩევანის გაკეთების საშუალებას და ბავშვები თვით არჩეულ თამაშებში ერთვებიან როგორც ჯგუფურად ასევე ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფას არეგულირებს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი"-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება :

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

2. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით;
- ✓ შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება;
- ✓ ბაღების მიხედვით შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა  მუნიციპალიტეტში;
- ✓ შესყიდვის განხორციელება;
- ✓ შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით; შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით) ;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

4. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.

5. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
ა) მოგროვება;
ბ) დამზადება.

დაწესებულებას , ბიუჯეტში საგანმანათლებლო რესურსის შესაძენად გამოყოფილი აქვს თანხა, დაწესებულების ბუღალტერი ინტერვიუში  აღნიშნავს რომ საგანმანათლებლო რესურსის  შესაძენად ძირითადად იყენებენ პირდაპირ შესყიდვებს -ბიუჯეტში წინასწარ განსაზღვრული თანხით და ასევე შესაბამისი პროცედურების დაცვით  დამატებით შეუძლიათ გამოიყენონ თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა -

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფს მარეგულირებელი წესი“-ში ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.** რესურსის მოძიების გზებში შეიტანოს დონაცია, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში ზღუდავს დაინტერესებული მხარეს მიერ საბავშვო ბაღისთვის საგანმანათლებლო რესურსის ჩუქების შესაძლებლობას. სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რესურსის მოძიების ეს გზა და რესურსის ჩუქების შემთხვევაში გააფორმოს ჩუქების აქტი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულება ,კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრას , ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით არეგულირებს **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“-თ ბრ N2/31 თარიღი 05 მაისი 2025 წელი.**

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა

1. გაერთიანების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.

2. გაერთიანების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;

3. გაერთიანება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.

4. გაერთიანება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;

5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;

6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად;

7. გაერთიანება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით

დაწესებულებას, კურიკულუმის დამტკიცებასთან ერთად ,დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა N1. აღნიშნული ნუსხა მოიცავს მრავალფეროვან და მრავალგვარ, ბავშვის ჰოლისტური განვითრებისათვის საჭირო მრავალფეროვან რესურს : 35 დასახელების საბავშვო წიგნებს, რესურსს: შემოქმედებითი, სენსორული, კვლევითი და კონსტრუქციული თამაშებისთვის. ნუსხა N1 არის ზოგადი და არ განსაზღვრავს არსებული საგანმანთლებლო რესურსის- ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობას.

დაწესებულებაში ვიზიტისას და დაწესებულების დოკუმენტაციის (შესყიდვების დოკუმენტი, მიღება ჩაბარების აქტები, ინვენტარიზაციის დოკუმენტი) შესწავლით , დასტურდება აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა N1-დან დაწესებულების ბაზაზე მცირე რესურსის ფლობა. აღნიშნული რესურსის ძირითადი ნაწილი შესაძენია .

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია - ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:

- ✓ განსაზღვროს და დაამტკიცოს საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა N 1 ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. განსაზღვროს რა რაოდენობის რესურს -რამდენ ბავშვზე ,ჯგუფზე, ბაღზე შეიძენს.
- ✓ სრულყოფილად შეიძინოს დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსი და რესურსის ფლობა საბავშვო ბაღის ბაზაზე ასახოს შესყიდვების, ინვენტარიზაციის დოკუმენტსა და მიღება -ჩაბარების აქტებში.

რჩევა - სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და რესურსის ჩამონათვალს დაამატოს ფიზიკური განვითარებისათვის (კოორდინაცია, ბალანსი) საჭირო რესურსი: სქროლი, ველოსიპედი და სხვ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს: 1. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ნუსხის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება, რამდენ ჯგუფზე და რომელ ბაღზე რა რაოდენობის რესურსი იქნება გათვალისწინებული. 2. საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცებას; 3. შესყიდული რესურსების ასახვას ინვენტარიზაციის დოკუმენტსა და მიღება ჩაბარების აქტებში.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის პოზიცია იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად განსაზღვრავს,ოთახი დაყოფილია: დრამატული,კვლევის,სენსორული,ხელოვნების,კუბურების,წიგნიერების,სამაგიდო ,წყნარ და დიდი ჯგუფური აქტივობის სივრცედ, ჯგუფის კედლები ,ფარდები ნეიტრალური ფერისაა, ავეჯი ხის ფაქტურის და ბავშვის სიმაღლის შესაბამისია. ჯგუფში არის დაბალბეწვიანი ხალიჩა, რბილი ავეჯი, სხვადასხვა სახის განათება,. ჯგუფის გარემო მოქნილია და იძლევა ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, ასევე დარბაზში (არსებობის შემთხვევაში) არის სპორტული და შემოქმედებითი /დრამა, მუსიკა, ცეკვა, ხატვა /თამაშებისთვის საჭირო ინვენტარი . უფროსისთვის გამოსაყენებელი ავეჯი: მასწავლებლის მაგიდა, კარადა ცალკე ოთახშია.

ეზო დაყოფილია ფუნქციურ სივრცეებად: ბაღი/ბოსტანი, მოედანი მოძრავი თამაშებისთვის, საქვიშე, ქოხი/კარავი , სახელოსნო/ხელოვნების და დრამატული თამაშების სივრცედ.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ერთი ჯგუფი და შესაბამისად არის შერეული 2 -დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, ოთახი დაყოფილია : კუბურების, დრამატული, სამაგიდო, ხელოვნების, წიგნიერების, სენსორული, მეცნიერების და წყნარ სივრცეებად, ჯგუფში არის რბილი ხალიჩა, ბალიშები, ბუნებრივი და ხელოვნური განათება, კარადები ბავშვის სიმაღლისაა, გარემო მოქნილია და იძლევა ცვლილებების შეტანის საშუალებას .საბავშვო ბაღში არ არის დარბაზი,-სპორტული და შემოქმედებითი თამაშებისთვის გამოყოფილია სივრცე ჯგუფში -შესაბამისი რესურსით.

საზავშვო ბაღის ეზო დაყოფილია: დრამატული (სამზარეულო,), სენსორული( საქვიშე, სენსორული კედელი, სენსორული ბილიკი) ფიზიკური განვითარების( სასრიალო, საქანელა, სახტომი, აიწონა-დაიწონა, საცოცი, საძრომი) შემოქმედებითი ( მუსიკალური) თამაშების და საერთო შეხვედრების სივრცედ, ეზოში არის წყნარი სივრცე (ქოხი, ) გამყოფილია სივრცე მეცნიერების აქტივობებისთვის( ბოსტანი) ,ეზო მოხატულია მოძრავი თამაშებისთვის.

ჯგუფი სარგებლობს ორი ოთახით ,ძირითადი ოთახის კედლები მწვანეა: კედლის ზედა ნაწილი ღია მწვანე , ქვედა ნაწილი კი მუქი მწვანეა, საძინებელი მკვეთრი ვარდისფერი, მაგიდები და თაროები ლურჯი და წითელი ფერის არის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:

- ✓ ჯგუფის ორივე ოთახის კედლებს ფერი შეცვალოს ნეიტრალური ფერით.
- ✓ ჯგუფის ავეჯი შეცვალოს ხის ფაქტურის ავეჯით . /ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში' ფიზიკური გარემო თავი 4. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"ფიზიკური გარემო ნაწილი II -ის შესაბამისად./

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ :

1) 12 თვის ვადაში, ორივე ჯგუფის კედლების ფერის შეცვლისთვის დაწესებულება გეგმავს: 1. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრას; 2. შესაბამისი ადამიანური რესურსის დადგენას; 3. შესაბამისი ხელშეკრულების/შეთანხმების შედგენა/გაფორმებას; 4. შესასრულებელი სამუშაოების ჩატარებას.

2) 24 თვის ვადაში არსებული ავეჯის ხის ფაქტურის ავეჯით შეცვლისთვის დაწესებულება გეგმავს:1. შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრას; 2. შესაბამისი ხელშეკრულების/შეთანხმების შედგენა/გაფორმებას; 4. შესასრულებელი სამუშაოების ჩატარებას და ინვენტარის შეტანას დაწესებულებაში .

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის პოზიცია იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. .**

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა -

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად განსაზღვრავს: თაროებზე მრავალფეროვანი : ღია, ბუნებრივი და მზა-სპეციფიკური რესურსი ღიადაა განლაგებული, რესურსის კონტეინერებზე , თაროებსა და სივრცეებზე ვიზუალური მიმანიშნებელია , დარბაზში არის სპორტული და შემოქმედებითი /დრამა, მუსიკა, ცეკვა, ხატვა /თამაშებისთვის საჭირო ინვენტარი/რესურსი. ეზოს სივრცეებში არის სივრცეების შესაბამისი რესურსი.

საბავშვო ბაღში რესურსი შემდეგნაირად არის ორგანიზებული: თაროებზე მრავალფეროვანი ღია, ბუნებრივი და მზა-სპეციფიკური რესურსი ღიადაა განლაგებული, რესურსის კონტეინერებზე , თაროებსა და სივრცეებზე ვიზუალური მიმანიშნებელია,

ეზოს სათამაშო სივრცეების რესურსი ძირითადად მეორადია და სივრცეებში შინაარსობრივად არის ორგანიზებული.

შიდა და გარე სივრცეში ორგანიზებული რესურსი ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე იდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | ***1.*** დაწესებულებას ბავშვთა კვებაზე და ინვენტარზე გათვალისწინებული აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი, თუმცა სრულად უზრუნველყოფილი არ აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი, ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი ინვენტარი (ფინჯნები მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულად დასაშვებ რაოდენობაზე (25) ნაკლებია, ასევე ბაღი არ არის უზრუნველყოფილი ბავშვთა კვებისთვის გამოსაყენებელი სუფრის დანებით, რაც დასტურდება 2024 წლის ინვენტარიზაციის აღწერის დოკუმენტით და ადგილზე დათვალიერებით<br>***2.*** დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი აღმზრდელ-მასწავლებლის და ექთნის მიერ, რაც გაწერილია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელ წესში | • დაწესებულებამ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოს ბავშვთა კვებისთვის და კვების მანერების ჩამოყალიბებისთვის საჭირო შესაბამისი რაოდენობის უსაფრთხო ინვენტარი, მათ შორის სუფრის დანები | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შეუსაბამობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ: ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ბავშვთა კვებისთვის და კვების მანერების ჩამოყალიბებისთვის საჭირო შესაბამისი რაოდენობის ჭურჭლით უზრუნველყოფა;<br>პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების დირექტორი); საჭირო რესურსი(კვების სპეციალისტი; საქმეთამმართველი;ბუღალტერი;გაერთიანების ბიუჯეტი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება "არ შეესაბამება" იცვლება "მეტწილად შეესაბამება"-დ. |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

## 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №3

საფირმო სახელწოდება: ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება.
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების №7 სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი

ბრძანების N: 16/09/2025 MES 6 25 0001158405

პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნადაბური, მე-2 ქუჩა, N17

ვიზიტის თარიღი: 10.10.2024

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| **ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს** | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | 1.ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა<br>2.17 აპრილის 2025 წლის ბრძანება №2/27 სანიტერულ-ჰიგიენური ნორმების სესახებ<br>3.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მარეგულირებელი წესი<br>4.სტანდარტული ოპერაციული პროცედურა-02 დან სტანდარტული ოპერაციული პროცედურა -19 ის ჩათვლით.<br>5.სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალება/ების დამადასტურებელი დოკუმენტი.<br>6.სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი<br>7.ხელშეკრულება №50 (ლაბორატორიული მომსახურებები, კერძოდ სასმელი წყლის ანალიზი)<br>8.ხელშეკრულება №25 (ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურება, კერძოდ სეპტიკური ავზის გაწმენდა)<br>9.წერილი №13948/38/02 07/07/2025 (შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)<br>10.წერილი N-12 30 იანვარი, 2026 წელი.<br>11. წერილი N-12 30 იანვარი, 2026 წლის თანდართლი დანართი #9 |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და დაწესებულების ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად, საჰაერო-სითბური რეჟიმის მექანიზმი დაცულია. დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი და უვნებელი სასმელი წყლის მომარაგებას, შენობის შიდა სათავსების, გარე სივრცის ინვენტარის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების სრულყოფილ დაცვას, დასუფთავების და ნარჩენების მართვას, საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვას. დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურებში (სოპ) დოკუმენტის დამტკიცების სტატუსი ცარიელია და არ არის შემმუშავებლის (რომელმაც დაამტკიცა) სახელი და გვარი. სოპებში მოცემული პროცედურის აღწერა, მეთოდი და სიხშირე წარმოადგენს ზოგად ჩანაწერს და არ ასახავს დაწესებულებაში განხორციელებულ პროცედურებს. | მექანიზმის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა მომარაგდეს ხარისხიანი უვნებელი წყლით, შემუშავდეს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისი სტანდარტული საოპერაციო პროცედურა (სოპ). | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) ნიმუში მოცემულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე (დოკუმენტი: სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია გვ. 34 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი2024 წელი), რომელიც შეუძლია შაბლონის სახით დაამტკიცოს. ხოლო ამავე გვერდზე შემუშავებული ზოგადი სოპები გამოიყენოს და კონკრეტულად მოარგოს დაწესებულებას. | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ დანართი #9 ის საფუძველზე შეიცვალა ინდიკატორების შეფასებები. გამომდინარე აქედან შეიცვალა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის შეფასებები.<br>სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ან/და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც წარმოდგენილი იქნებოდა მტკიცებულება შეუსაბამობის აღმოფხვრის შესახებ. |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ადგილზე ჩატარებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფური და საძინებელი ოთახების იატაკი გლუვია, ნაპრალების გარეშე და იწმინდება სველი წესით.<br>სანიტარული კვანძის, დარბაზის და სამრეცხაოს კედლები მოპირკეთებულია ისე, რომ შესაძლებელია სველი წესით დამუშავება და დეზინფექცია მინ. 1.5 მ სიმაღლემდე.<br>სანიტარული კვანძისა და სამრეცხაოს იატაკი მოპირკეთებულია მოცურების საწინააღმდეგო კერამიკული/მოზაიკური ფილებით.<br>დაწესებულება არ არის სრულად აღჭურვილი მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეებით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შენობის სათავსები მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად დამონტაჟებული უნდა იყოს მწერების შეღწევის დამცავი ბადეებით. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ შენობის სათავსები მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად მწერების შეღწევის დამცავი ბადეების მონტაჟი. წარმოდგენილი გეგმის თანახმად, 2026 წლის 29 იანვრიდან 2027 წლის 29 იანვრამდე პერიოდში (12 თვე) გათვალისწინებულია შენობის სათავსებში მწერების შეღწევის დამცავი ბადეების ეტაპობრივი მონტაჟი. აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გაერთიანების დირექტორი, ხოლო პროცესში ჩართულნი არიან გამგე და სამეურნეო სამსახურის უფროსი.<br>აქედან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება "მეტწილად შეესაბამება" |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. საგანმანათლებლო სივრცეები, საძინებლები და სენსო-მოტორული დარბაზი იღებს საკმარის ბუნებრივ განათებას, ხოლო ხელოვნური განათება უზრუნველყოფს მთელ შენობაში თანაბარ და საკმარის სინათლეს. ფანჯრის რაფებზე არ არის განთავსებული მცენარეები. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამზარეულოს ფანჯრები უნდა იყოს აღჭურვილი მზისგან დამცავი საშუალებებით. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ სამზარეულოს ფანჯრების აღჭურვა მზისგან დამცავი საშუალებებით..<br>წარმოდგენილი გეგმის თანახმად, 2026 წლის 29 იანვრიდან 2027 წლის 29 იანვრამდე პერიოდში (12 თვე) გათვალისწინებულიასამზარეულოს ფანჯრების აღჭურვა მზისგან დამცავი საშალებით. აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გაერთიანების დირექტორი, ხოლო პროცესში ჩართულნი არიან გამგე და სამეურნეო სამსახურის უფროსი.<br>აქედან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება "მეტწილად შეესაბამება" |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **4** | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაწესებულება უზრუნველყოფილია სასმელი, ცხელი და ცივი წყლით. ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება ხდება წყლის თავდახურული კონტეინერებით. დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით, ნახმარი და წვიმის წყლის სათანადო არინებით.<br><br>ადგილზე წარმოდგენილი სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმში წარმოდგენილი მაჩვენებლები (საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, Streptococus faecalis და PH)) არ ადასტურებს სასმელი წყლის უვნებლობასა და ხარისხს.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა არის ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ვერ ადასტურებს დაწესებულებაში როგორ ხდება წყლის კონტეინერის რეცხვა. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ სასლემი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმი აკმაყოფილებდეს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #58 დადგენილებას.<br>ასევე, შემუშავდეს სასმელი წყლის კონტეინერის რეცხვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ), რომელიც დაადასტურებს კონკრეტულად სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში ბავშვებისთვის განკუთვნილი წყლის კონტეინერების რეცხვას. | დაწესებულება ვალდებულია წელიწადში ერთხელ აიღოს და განახორციელოს სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა შემდეგ მაჩვენებლებზე:<br>სუნი, გემო,<br>ფერიანობა, სიმღვრივე, მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები,<br>საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E.coli,<br>PH, აზოტისფორმები (ამიაკი, ნიტრატი, ნიტრიტი),<br>ქლორიდები, სულფატები,<br>ჟანგვადობა, სიხისტე.<br><br>დაწესებულებას შეუძლია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებული ზოგადი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადგილზე წარმოდგენილი სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმში ასახული მაჩვენებლები (საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, Streptococcus faecalis და pH) არ ადასტურებდა სასმელი წყლის უვნებლობასა და ხარისხს.<br><br>წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, 2026 წლის 29 იანვრიდან 2027 წლის 29 იანვრამდე პერიოდში (12 თვე) გათვალისწინებულია ისეთი სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის ოქმის შემუშავება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №58 დადგენილების მოთხოვნებს. ამასთანავე, შემუშავებულია სასმელი წყლის კონტეინერების რეცხვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ), რომელიც წარმოდგენილია დანართი #-ის სახით და ადასტურებს კონკრეტულად სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში ბავშვებისთვის განკუთვნილი წყლის კონტეინერების რეცხვის წესს.<br><br>აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გაერთიანების დირექტორი, ხოლო პროცესში ჩართულნი არიან გამგე და საქმეთამმართველი.<br><br>აქედან გამომდინარე წარმოდგენილი მტკიცებულებები აბათილებს ექსპერტის მიერ დადგენილ შეუსაბამობას. რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება" იცვლება „შეესაბამება" |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **5** | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებლის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ჯგუფური და საძინებელი ოთახების განიავება ხორციელდება რეგულარულად, დადგენილი წესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს და იცავს განიავების მოთხოვნებს. უზრუნველყოფილია ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა დადგენილი ხანგრძლივობით.<br>ვიზუალური დათვალიერების შედეგად ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრი დამონტაჟებულია კედელზე შესაბამის სიმაღლეზე | | | |
| | ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | **მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი** | | | | | | | | |
| | **შენობის შიდა სათავსებში:** | | | | | | | | |
| | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ წარმოადგინა რეგისტრაციის მოწმობა, რომ გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებები რეგისტრირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ. ასევე, ვიზუალური დათვალიერებისას დაწესებულებაში არ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა არის ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ვერ ადასტურებს დაწესებულებაში როგორ ხდება გენერაულრი დასუფთავება, სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელება, რეცხვა და დასუფთავება. (სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში არის ზოგადი ჩანაწერები და არ არის დაკონკრეტებული პროცედურის აღწერის, მეთოდი და სიხშირის ეტაპები) | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) გადახედვა, დაზუსტება და განახლება, იმგვარად, რომ თითოეული პროცედურა მკაფიოდ და დეტალურად აღწერდეს სამუშაოების შესრულების წესს, გამოყენებულ მეთოდებსა და სიხშირის ეტაპებს. (სტანდარტული ოპერაციული პროცედურები რომლებიც მოიცავენ დასუფთავებას და დეზინფექციას უნდა ჩაიწეროს კონკრეტული პროცედურის აღწერა და მეთოდსა და სიხშირეში მონიტორინგის პროცედურები) | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შეუძლია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებული ზოგადი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, რომელსაც მოარგებს დაწესებულებას. | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) გადახედვის, დაზუსტებისა და განახლების საკითხთან დაკავშირებით და ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება.<br><br>კერძოდ, წარმოდგენილია განახლებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები დანართი #9-ის სახით, რომლებიც დეტალურად აღწერს სამუშაოების შესრულების წესს, გამოყენებულ მეთოდებსა და სიხშირის ეტაპებს. დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურებში მკაფიოდ არის გაწერილი კონკრეტული პროცედურის აღწერა, გამოყენებული მეთოდები, სიხშირე და მონიტორინგის განხორციელების წესი.<br><br>აქედან გამომდინარე წარმოდგენილი მტკიცებულებები აბათილებს ექსპერტის მიერ დადგენილ შეუსაბამობას. რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება „შეესაბამება“ |
| | სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ყველა სათავსი სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გამწოვი ვეტნილაციის ჟალუზები ღიაა და სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, ხოლო დახურულია, მხოლოდ შენობის შიგნით და გარეთ ტემპერატურა მკვეთრი სხვაობის დროს, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ,რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარი:** | | | | | | | | |
| | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ვიზუალური დათვალიერების შედეგად, დაწესებულების ხელსაბანები აღჭურვილია თხევადი საპონით ქაღალდის პირსახოცის დისპანსწერით (WASH ინდიკატორი) და უკონტაქტო, თავსახურიანი ნაგვის ურნით. ასევე, ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღარდით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთისგან განცალკევებით. სანიტარულ კვანძში ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები ტექნიკურად გამართულია. დაწესებულებამ წარმოადგინა დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა. საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშალებები ინახება კარადაში. დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა არის ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ვერ ადასტურებს დაწესებულებაში როგორ ხდება ინვენტარის რეცხვა, დასუფთავება და დეზინფექცია.<br>დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობის წლიური რაოდენობა. დასალაგებელი ინვენტარი არ ინახება სპეციალურ კარადაში. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა შემუშავდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ), რომელიც დაადასტურებს კონკრეტულად სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში ინვენტარის რეცხვა, დასუფთავება და დეზინფექციის სამუშაოებს; სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი ინახებოდეს კარადაში; ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობის წლიური რაოდენობა. | სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს თეთრეულის მარკირებისთვის ნუმერაციის გამოყენება საწოლების მიხედვით, ისე, რომ, მაგალითად, I ნომრის საწოლისთვის განკუთვნილი თეთრეული იყოს მარკირებული როგორც „I“ და გამოყენებულ იქნას მხოლოდ აღნიშნული საწოლისთვის.<br>სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შეუძლია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებული ზოგადი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, რომელსაც მოარგებს დაწესებულებას. | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით. ინვენტარის რეცხვის, დასუფთავების და დეზინფექციის პროცესების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) შემუშავების საკითხზე. ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოდგენილია დანართი 9, რომელიც დეტალურად აღწერს სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში ინვენტარის რეცხვის, დასუფთავებისა და დეზინფექციის სამუშაოების პროცესს.<br><br>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი მტკიცებულებები აბათილებს ექსპერტის მიერ დადგენილ შეუსაბამობას. რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება „შეესაბამება“.<br><br>დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ან/და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სადაც წარმოდგენილი იქნებოდა მტკიცებულება დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა და მათი წლიური რაოდენობა. გამომდინარე აქედან ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობა არ ბათილდება. |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეული მარკირებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთსიგან განცალკევებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ლოგინი (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) ნიავდება გენერალური დასუფთავებისას და უტარდება ქიმიური წმენდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხალიჩები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით იწმინდება სველი ჯაგრისით და უტარდება ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საფენების გამოსაცვლელი მაგიდები, საბავშვო ქვეშაგები, მუშამბები, მანეჟის საფარველი ექვემდებარება რეცხვას საპნიანი წყლით დღეში ორჯერ. ფეკალიებით დაბინძურების შემთხვევაში, გასუფთავებული ადგილები დამატებით იწმინდება 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ხელის გასამშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებულ ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა | ☐ | ☐ | ☐ | ☑ | | | | |
| | სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი მოხმარების შემდეგ ირეცხება გამდინარე წყლით, ყოველ დღე ირეცხება თბილი საპნიანი წყლით, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს, 30 წუთის მანძილზე მუშავდება 1%-იანი ქლორამინის ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ყოველი მოხმარების შემდეგ, 30 წთ-ის განმავლობაში მუშავდება 1%-იანი ქლორის ხსნარით, ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული წესითა და სადეზინფექციო საშუალებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **შენობის გარე სივრცე** | | | | | | | | |
| | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა არის ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ვერ ადასტურებს როგორ ხდება დაწესებულების ეზოს და ეზოში განთავსებული აღჭურვილობის დასუფთავებას და წმენდას, ქვიშის შეცვლას და ეზოს მორწყვას. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა შემუშავდეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ), რომელიც დაადასტურებს კონკრეტულად სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში შენობის გარე სივრცის და ამ სივრცეში არსებული აღჭურვილობის მიმართ ჩატარებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ სამუშაოებს. | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შეუძლია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებული ზოგადი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, რომელსაც მოარგებს დაწესებულებას. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია შენობის გარე სივრცის და ამ სივრცეში არსებული აღჭურვილობის მიმართ ჩატარებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ სამუშაოებთან დაკავშირებით. ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოდგენილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ) დანართი 9-ის სახით, რომელიც დეტალურად აღწერს სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღში გარე სივრცეში განხორციელებული სამუშაოების წესებს, მეთოდებსა და სიხშირეს.<br><br>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი მტკიცებულებები აბათილებს ექსპერტის მიერ დადგენილ შეუსაბამობას. რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება „შეესაბამება“. |
| | დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. დაცლის შემდეგ მუშავდება სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **7** | **მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებებში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ვიზუალური დათვალიერების შედეგად, დაწესებულების ნარჩენების შემკრები კონტეინერები არის თავდახურული და არ არის გადავსებული.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტანდარტული ოპერაციული პროცედურა არის ააიპ ეთერ კიკნაძის სახელობის ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დამტკიცებული ფორმა, რომელიც ვერ ადასტურებს დასუფთავებისა და ნარჩენების მართვას. სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოებს ჩატარებას ახორციელებს გარე პირი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. | ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ), გადახედვა, დაზუსტება და განახლება, იმგვარად, რომ თითოეული პროცედურა მკაფიოდ და დეტალურად აღწერდეს დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცედურის აღწერის და მონიტორინგის ეტაპებს. | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ შეუძლია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე განთავსებული ზოგადი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით, რომელსაც მოარგებს დაწესებულებას. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) გადახედვის, დაზუსტებისა და განახლების საკითხთან დაკავშირებით, რათა თითოეული პროცედურა მკაფიოდ და დეტალურად აღწერდეს დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და დეზინფექციის პროცესის შესრულების წესები, პროცედურის აღწერა და მონიტორინგის ეტაპები. ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობის გაბათილების მიზნით წარმოდგენილია სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ) დანართი 9-ის სახით, რომელიც ასახავს შესაბამისი პროცესების წესებს, მეთოდებსა და მონიტორინგის სიხშირეს.<br><br>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი მტკიცებულებები აბათილებს ექსპერტის მიერ დადგენილ შეუსაბამობას. რის შედეგადაც ექსპერტის შეფასება „არ შეესაბამება“ იცვლება „შეესაბამება“. |
| | დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში/ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრებ) კონტეინერებში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების და ნაგვის ურნების დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კითხვარის შევსების პროცესში, აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.